გადაწყვეტილება

ეთიკის კომისია

შესავალი ნაწილი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე – თავმჯდომარე
გიგა კვერენჩხილაძე – წევრი
არჩილ კბილაშვილი - წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატები ლ. გ. და ვ. ქ.

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შეტანილი: რ. ს. (სიითი ნომერი)

დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის შემადგენლობა:

ეკატერინე გასიტაშვილი – თავმჯდომარე
მარინა კვაჭაძე – წევრი
ლავრენტი ქავთარაძე – წევრი

აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია

1.1 2009 წლის 21 აგვისტოს გამთენიისას, დილის 3-4 საათზე აჭარის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელდა ეჭვმიტანილების რ. მ.-სა და ს. ბ.-ს ამოცნობის საპროცესო ღონისძიებანი.

1.2 ორივე საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა მიიღო სახაზინო ადვოკატმა რ. ს.-მ.

1.3. საჩივრის ავტორთა აზრით, ამოცნობის ჩატარების დროს ადგილი ჰქონდა შემდეგ კანონდარღვევას:
1. ამოცნობა ღამის საათებში არ უნდა ჩატარებულიყო, რადგან იგი არ წარმოადგენდა გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებას.
2. პროკურორი საჩივრის ავტორებს, რომლებიც თავად იყვნენ ეჭვმიტანილი პირების ადვოკატები, შეუთანხმდა, რომ ამოცნობის საგამოძიებო მოქმედება ჩატარდებოდა მეორე დღეს, რის შემდეგაც, საჩივრის ავტორებმა დატოვეს იზოლატორის შენობა. ამის შემდეგ კი, პროკურორმა გვიან ნაშუაღამევს, დაახლოებით 3-4 საათზე, საჩივრის ავტორთა მონაწილეობის გარეშე, მათგან ფარულად, სახაზინო ადვოკატ რ. ს.-ის მონაწილეობით ჩაატარა ეჭვმიტანილების რ. მ.-სა და ს. ბ.-ს ამოცნობის საპროცესო მოქმედება;

3. ეჭვმიტანილებმა რ. მ.-მ და ს. ბ.-მ უარი განაცხადეს სახაზინო ადვოკატ რ. ს.-ის მომსახურებაზე, თუმცა რ. ს.-მ მაინც მიიღო მონაწილეობა ამოცნობის საგამოძიებო მოქმედებაში;
4. ადვოკატმა რ. ს.-მ იცოდა, რომ საქმეში არსებობდა საჩივრის ავტორთა ორდერები, მაგრამ მან, ამის მიუხედავად, მაინც მიიღო მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებებში და ამის შესახებ არ აცნობა საჩივრის ავტორებს არც საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დღეს და არც შემდეგ.
5. რ. მ.-ს ამოცნობის პროცესი მიმდინარეობდა პროკურორის ზემოქმედებისა და შანტაჟის ქვეშ, რასაც სახაზინო ადვოკატის მხრიდან რეაქცია არ მოჰყოლია.
6. სახაზინო ადვოკატი საქმეში ჩაერთო ბრალდების მხარის ინიციატივითა და რეკომენდაციით და მან შეგნებულად დატოვა დაცვის გარეშე რ. მ. და ს. ბ..

1.4 განხილვის კოლეგიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდა 2010 წლის 12 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში, საჩივრის ავტორმა ლ. გ.-მ დააკონკრეტა თუ რაში გამოვლენდა კანონდარღვევა რ. მ.-ს ამოცნობის დროს. კერძოდ, საჩივრის ავტორის მტკიცებით, რ. მ.-ს ამოცნობის დროს ადგილი ჰქონდა სხვადასხვა კანონდარღვევას, რასაც ადვოკატ რ. ს.-ის მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

1.5 განხილვის კოლეგიაზე საჩივრის ავტორმა დააკონკრეტა თუ რაში იქნა გამოვლენილი კანონდარღვევა ს. ბ.-ს ამოცნობის დროს. კერძოდ, ეს გამოიხატებოდა შემდეგში:
1. ს. ბ.-ს ამოცნობის ოქმის მიხედვით, მისმა ამომცნობმა პირმა განაცხადა, რომ მის მიერ ამოცნობილი პირი იყო ის ადამიანი, ვინც ნამდვილად მონაწილეობდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში, მაშინ, როდესაც ამოცნობის პროცესის ამსახველ ვიდეო ფირზე ამომცნობი პირი ს. ბ.-ს მიმართ ამბობს სრულიად საწინააღმდეგოს, კერძოდ, იმას, რომ სწორედ ს. ბ. ცდილობდა დაეცვა წესრიგი და აღეკვეთა შეურაცხყოფა.

1.6 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ რ. ს.-ის მიმართ იმაში გამოიხატებოდა, რომ ადვოკატმა რ. ს.-მ არ დააფიქსირა აღნიშნული დარღვევის შესახებ ამოცნობის ოქმში. გარდა ამისა, ადვოკატმა რ. ს.-მ მონაწილეობა მიიღო ს. ბ.-ს ამოცნობის პროცესში, იმის მიუხედავად, რომ ეჭვმიტანილმა ს. ბ.-მ სახაზინო ადვოკატის მომსახურებაზე უარი განაცხადა და ეს ამოცნობის ოქმზე ხელმოწერისასაც დაადასტურა.

2. მოპასუხე ადვოკატის პოზიცია

2.1 განხილვის კოლეგიაზე გამოცხადებულმა ადვოკატმა რ. ს.-მ რ. მ.-სთან მიმართებით დაადასტურა საჩივრის ავტორის მიერ ზემოაღწერილი ფაქტების სისწორე და მიუთითა, რომ ყოველივე ეს ასახულია კიდეც ვიდეოფირზე. გარდა ამისა, ადვოკატმა რ. ს.-მ განაცხადა, რომ მან გამოხატა სურვილი დაცვა განეხორციელებინა შეთანხმებით მოწვეულ ადვოკატს, თუმცა ეს ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ, ერთის მხრივ, საგამოძიებო იზოლატორში არ არსებობდა სატელეფონო კავშირის შესაძლებლობა და მეორეს მხრივ, მას უფლება არ ჰქონდა უარი ეთქვა რ. მ.-ს დაცვაზე, რადგან ეს იყო არასრულწლოვანის დანიშვნითი დაცვა და სახაზინო ადვოკატზე ეჭვმიტანილის უარის თქმის მიუხედავად რ. ს.-ს რ. მ.-ს დაცვა უნდა განეხორციელებინა. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ დააფიქსირა ადვოკატმა თავისი შენიშვნები ამოცნობის ოქმში, ადვოკატმა რ. მ.-მ მიუთითა, რომ ვინაიდან მიმდინარეობდა საგამოძიებო მოქმედების ვიდეოგადაღება და ყველაფერი ისედაც თვალსაჩინო იყო, ამდენად, მან აღარ მიიჩნია აუცილებლად ოქმში დამატებითი შენიშვნების გაკეთება.

2.2 ადვოკატმა რ. ს.-მ ს. ბ.-სთან მიმართებით არ დაადასტურა ამოცნობის ოქმის შინაარსსა და ამოცნობის ვიდეოჩანაწერს შორის არსებული წინააღმდეგობის ფაქტი და მიუთითა, რომ მას არ ახსოვს შემთხვევა, როდესაც ს. ბ.-ს ამომცნობი პირი მის მიმართ ამბობს იმას, რომ სწორედ ს. ბ. ცდილობდა დაეცვა წესრიგი და აღეკვეთა შეურაცხყოფა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია

მოცემულ საქმეზე 2010 წლის 22 თებერვალს დისციპლინური დევნის აღმძვრელმა კოლეგიამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც შესაძლებლად იქნა მიჩნეული ადვოკატ რ. ს.-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტის დადგენა.

4. ფაქტობრივი გარემოებები

4.1 უდავო ფაქტობრივი გარემოებები

საჩივრის ავტორთა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან და საქმეში არსებული ამოცნობის ოქმებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

4.1.1 2009 წლის 21 აგვისტოს გამთენიისას, ღამის საათებში, აჭარის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელდა ეჭვმიტანილების რ. მ.-სა და ს. ბ.-ს ამოცნობის საპროცესო ღონისძიებანი.

კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2009 წლის 21 აგვისტოს ოქმი პირის ამოცნობის შესახებ (რ. მ.-სთან დაკავშირებით);
- 2009 წლის 21 აგვისტოს ოქმი პირის ამოცნობის შესახებ (ს. ბ.-სთან დაკავშირებით);
- ლ. გ.-ისა და ვ. ქ.-ის 2010 წლის 22 იანვრის საჩივარი;
- რ. ს.-ის 2010 წლის 11 თებერვლის ახსნა-განმარტება;
- მხარეთა ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტებანი განხილვის კოლეგიის სხდომაზე.

4.1.2 ეჭვმიტანილებმა რ. მ.-მ და ს. ბ.-მ უარი განაცხადეს სახაზინო ადვოკატ რ. ს.-ის მომსახურებაზე. ადვოკატმა რ. ს.-მ ამოცნობის პროცესის დროს გაიგო, რომ რ. მ.-სა და ს. ბ.-ს ჰყავდათ დაცვა შეთანხმებით, თუმცა რ. ს.-მ მაინც მიიღო მონაწილეობა ამოცნობის საგამოძიებო მოქმედებაში.

კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2009 წლის 21 აგვისტოს ოქმი პირის ამოცნობის შესახებ (რ. მ.-სთან დაკავშირებით);
- 2009 წლის 21 აგვისტოს ოქმი პირის ამოცნობის შესახებ (ს. ბ.-სთან დაკავშირებით);
- ლ. გ.-ისა და ვ. ქ.-ის 2010 წლის 22 იანვრის საჩივარი;
- რ. ს.-ის 2010 წლის 11 თებერვლის ახსნა-განმარტება;
- მხარეთა ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტებანი განხილვის კოლეგიის სხდომაზე.

4.1.3 რ. მ.-ს ამოცნობის დროს ადგილი ჰქონდა სხვადასხვა კანონდარღვევას, რასაც ადვოკატ რ. ს.-ის მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- ლ. გ.-ისა და ვ. ქ.-ის 2010 წლის 22 იანვრის საჩივარი;

- მხარეთა ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტებანი განხილვის კოლეგიის სხდომაზე.

ამ ფაქტობრივი გარემოების დადგენის დროს კოლეგიას აუცილებლად მიაჩნია განმარტოს შემდეგი:

"ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების (შემდგომში "დებულება") მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაცვით.

შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, ერთი მხარის მიერ რაიმე გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება) საკმარისი საფუძველია განხილვის კოლეგიისათვის, რომ ესა თუ ის გარემოება დადგენილად მიიჩნიოს.

მოცემული ფაქტობრივი გარემოების დადგენის დროს კოლეგია ხელმძღვანელობდა საჩივრის ავტორის შესაბამისი განცხადებით, რომელიც მან განაცხადა საჩივარში და განხილვის კოლეგიის სხდომაზე და მოპასუხე ადვოკატის აღიარებით (დადასტურებით), რომელიც მან განაცხადა განხილვის კოლეგიის სხდომაზე.

ამრიგად, 4.1.3 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებანი დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე პირებისათვის.

რაც შეეხება, სხვა პირებს, რომლებიც არ მონაწილეობდნენ დისციპლინურ წარმოებაში (მაგალითად, პროკურორს), 4.1.3 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებანი მათ მიმართ დადგენილად ვერ მიიჩნევა იმიტომ, რომ ისინი არ მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში და გარდა ამისა, კოლეგიას არ ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა რ. მ.-ს ამოცნობის ოქმის ვიდეოჩანაწერს რათა ობიექტურად დარწმუნებულიყო 4.1.3 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოების არსებობაში.

4.1.4 რ. მ.-ს ამოცნობა არ შედგა.

კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2009 წლის 21 აგვისტოს ოქმი პირის ამოცნობის შესახებ (რ. მ.-სთან დაკავშირებით).

4.2 დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.2.1 განხილვის კოლეგიამ დადგენილად არ მიიჩნია ის გარემოება, რომ წინააღმდეგობა არსებობს ს. ბ.-ს ამოცნობის ოქმის შინაარსსა და ამოცნობის ამსახველ ვიდეოჩანაწერს შორის. კერძოდ, დადგენილად არ უნდა იქნეს მიჩნეული ის, რომ ს. ბ.-ს ამოცნობაში მონაწილე პირი ს. ბ.-ს ახასიათებს როგორც წესრიგის დამცველს.

კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- რ. ს.-ის ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტება განხილვის კოლეგიის სხდომაზე.

ამ ფაქტობრივი გარემოების დადგენის დროს კოლეგიას აუცილებლად მიაჩნია განმარტოს შემდეგი:

საჩივრის ავტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ წინააღმდეგობა არსებობს ამოცნობის ვიდეოჩანაწერსა და ამოცნობის ოქმს შორის ემყარება მხოლოდ საჩივრის ავტორის განცხადებას. იგი არ დადასტურებულა საქმეში არსებული რაიმე

მტკიცებულებით, მათ შორის არც მოპასუხე ადვოკატის აღიარებით. ასეთ შემთხვევაში საჩივრის ავტორის განცხადება ვერ აკმაყოფილებს მტკიცების მინიმალურ სტანდარტს.

სამოტივაციო ნაწილი

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 შემაჯამებელი დასკვნა
ეთიკის კომისია თვლის, რომ ადვოკატ რ. ს.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 განსახილველ შემთხვევაში შეფასება უნდა მიეცეს ადვოკატ რ. ს.-ის იმ ქმედებებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2009 წლის 21 აგვისტოს გამთენიისას, როდესაც აჭარის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელდა ეჭვმიტანილების რ. მ.-სა და ს. ბ.-ს ამოცნობის საპროცესო ღონისძიებანი.

6.2 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორთა მოსაზრებების შეფასება იმ კანონდარღვევებზე, რომლებიც შეეხება პროკურორის მიერ რ. მ.-სა და ს. ბ.-ს ამოცნობის ჩატარებას გვიანი ღამის საათებში მათი ინტერესების გამომხატველი ადვოკატების გვერდის ავლით, არ შედის განხილვის კოლეგიის კომპეტენციაში, რადგან განხილვის კოლეგია იხილავს ადვოკატის და არა პროკურორის ქმედების კანონშესაბამისობას.

6.3 განხილვის კოლეგია ცალ-ცალკე შეაფასებს ადვოკატ რ. ს.-ის ქმედებებს ეჭვმიტანილ რ. მ.-სა და ეჭვმიტანილ ს. ბ.-ს ამოცნობის საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით.

6.4 ის, რომ ეჭვმიტანილმა რ. მ.-მ უარი განაცხადა სახაზინო ადვოკატ რ. ს.-ის მომსახურებაზე, თუმცა რ. ს.-მ მაინც მიიღო მონაწილეობა ამოცნობის საგამოძიებო მოქმედებაში, არ წარმოადგენს ადვოკატის დისციპლინურ გადაცდომას. სსსკ 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის შესაბამისად არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის მიმართ ხორციელდება იძულებითი დაცვა.

6.5 ის, რომ ეჭვმიტანილმა ს. ბ.-მ უარი განაცხადა სახაზინო ადვოკატ რ. ს.-ის მომსახურებაზე, თუმცა რ. ს.-მ მაინც მიიღო მონაწილეობა ამოცნობის საგამოძიებო მოქმედებაში ადვოკატის მხრიდან წარმოადგენს ადვოკატის დისციპლინურ გადაცდომას. სსსკ 73-ე და 76-ე მუხლების შესაბამისად ეჭვმიტანილს და ბრალდებულს უფლება აქვთ თავად შეარჩიონ დამცველი და უარი თქვან შერჩეულ დამცველზე.

როდესაც ს. ბ.-მ უარი განაცხადა რ. ს.-ის დაცვაზე, ამ უკანასკნელს აღარ ჰქონდა უფლება მონაწილეობა მიეღო ამოცნობის საგამოძიებო მოქმედებაში და პროცესს უნდა ჩამოშორებოდა. ს. ბ.-ს მიმართ განხორციელებული იძულებითი დაცვით რ. ს.-მ ასევე დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდგომში "ეთიკის კოდექსი") მე-3 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული ნდობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპები.

კერძოდ, ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი ადვოკატს ავალებს არ იმოქმედოს ისე, რომ ეჭქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც ს. ბ.-მ უნდობლობა გამოუცხადა ადვოკატ რ. ს.-ს ამ უკანასკნელს აღარ ჰქონდა უფლება კვლავ ემოქმედა ს. ბ.-ს ადვოკატის რანგში.

ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი ადვოკატს ავალებს კლიენტის ინტერესებს მიანიჭოს პრიორიტეტი და დააყენოს ის პირად და სხვა ინტერესებზე მაღლა. მოცემულ შემთხვევაში კი, მას შემდეგ რაც ადვოკატმა რ. ს.-მ შეიტყო მისი კლიენტის ნება სახაზინო ადვოკატით მომსახურებაზე უარის შესახებ, ადვოკატს არ ჰქონდა უფლება ემოქმედა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

6.6 რ. მ.-ს ამოცნობის პროცესის დროს შეფასება უნდა მიეცეს ადვოკატ რ. ს.-ის უმოქმედებას, მას შემდეგ რაც მან დაადასტურა, საჩივრის ავტორების მტკიცება, რომ რ. მ.-ს ამოცნობის პროცესის დროს ადგილი ჰქონდა კანონდარღვევებს.

ამ გარემოების შეფასების დროს განხილვის კოლეგია მხდეველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ რ. მ.-ს მიმართ პირის ამოცნობის საგამოძიებო მოქმედება არ შედგა. ამდენად, რაიმე ზიანი, რომელიც შედეგობრივი თვალსაზრისით შეიძლებოდა დამდგარიყო რ. მ.-ს მიმართ, თუკი ამოცნობა ჩატარდებოდა, დამდგარი არ არის.

მხედველობაში არის მისაღები ის გარემოებაც, რომ რ. მ.-ს მიმართ ამოცნობის წარმართვის მცდელობა გადაღებულ იქნა ვიდეოფირზე და ამ მხრივ, საგულისხმოა თავად რ. ს.-ის ახსნა-განმარტებაც იმასთან დაკავშირებით, რომ ვიდეოჩანაწერის არსებობა აღარ წარმოშობდა აუცილებლობას ოქმში რაიმე დამატებითი ჩანაწერის განხორციელების თაობაზე.

გარდა ამისა, როგორც თვით რ. მ.-ს ამოცნობის ოქმიდან ვიგებთ, ოქმი შედგება მხოლოდ იმ ჩანაწერისაგან, რომ რ. მ.-ს მიმართ ამოცნობა არ შედგა თავად რ. მ.-ს იმ განცხადების საფუძველზე, რომ ამომცნობი პირი რ. მ.-ს იცნობდა და ამოცნობას აზრი არ ექნებოდა. აღნიშნული ჩანაწერი უთუოდ შეესაბამებოდა რ. მ.-ს ინტერესებს. განხილვის კოლეგიას, მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ოქმში შენიშვნის გაკეთება პროკურორის მხრიდან გამოვლენილი დარღვევების შესახებ ვერანაირად ვერ მოემსახურებოდა ეჭვმიტანილის ინტერესებს, რადგან თუკი პროკურორის მიერ ჩადენილ დარღვევას დასაცავი პირისათვის არ წარმოუშვია მავნე შედეგი (როგორიც იქნებოდა დანაშაულის ჩამდენად რ. მ.-ს ამოცნობის შემთხვევაში), მაშინ ოქმში პროკურორის მიერ ჩადენილი დარღვევების ასახვას პროცესუალური თვალსაზრისით რაიმე შედეგი არ მოყვებოდა.

ასეთ შემთხვევაში, ოქმში პროკურორის მიერ ჩადენილი დარღვევების შესახებ განცხადებას შესაძლებელია ჰქონოდა მხოლოდ ის მიზანი, რომ შესაბამის ორგანოს მისცემოდა შესაძლებლობა პროკურორის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის ნიშნები აღმოეჩინა, თუმცა, ამ მიზნის მიღწევა ოქმზე თანდართული ვიდეომასალითაც ნებისმიერ დროს იყო შესაძლებელი.

ასეთ პირობებში, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ მას შემდეგ, რაც ამოცნობა არ ჩატარდა, პროკურორის მიერ ჩადენილ დარღვევებზე ოქმში შენიშვნის შეუტანლობა, კლიენტის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლოა აღარც კი იყო მიზანშეწონილი.

განხილვის კოლეგიის აზრით, პროკურორის მხრიდან გამოვლენილი ზემოაღწერილი დარღვევის მსგავს შემთხვევაში, ადვოკატის მოვალეობა არის მისცეს თავის დასაცავ პირს ისეთი სამართლებრივი რჩევა, რომელიც გამომდინარეობს კანონისა და დასაცავი პირის ინტერესებიდან. იზოლატორში მოხვედრილი ადამიანი, მით უფრო თუ ის არასრულწლოვანია, ბუნებრივად განიცდის თრგუნვას და თუ მას ემატება ბრალდების მხარის წარმომადგენლის მიერ გამოვლენილი ფსიქოლოგიური ზეწოლაც, ეს კიდევ უფრო აუარესებს პირის მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატის მოვალეობაა

განუმტკიცოს დასაცავ პირს ფსიქოლოგიური რწმენა იმისა, რომ მისი უდანაშაულობა დადასტურებული იქნება.

როგორც 2010 წლის 11 თებერვლის წერილობით ახსნა-განმარტებაში, ასევე ზეპირი განხილვის დროს მიცემულ ჩვენებაში, ადვოკატმა რ. ს.-მ განაცხადა, რომ იგი შეეცადა დაეკმაყოფილებინათ არასრულწლოვან რ. მ.-ს თხოვნა მის მშობელთან ან მის ადვოკატთან დაკავშირების შესახებ, ადვოკატმა რ. ს.-მ რ. მ.-ს მისცა განმარტებანი კანონებთან დაკავშირებით და დასასრულ, ადვოკატმა რ. ს.-მ ხელი მოაწერა ამოცნობის ოქმს მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ რ. მ. ამის წინააღმდეგი არ იყო.

განხილვის კოლეგიის აზრით, ადვოკატ რ. ს.-ის ზემოაღწერილი ქმედებანი არიან ეჭვმიტანილ რ. მ.-ს დასაცავად განხორციელებული ქმედებანი, თუმცა განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ეს ქმედებანი არ არის იმ დარღვევათა ადექვატური ქმედებანი, რასაც მხარეთა განმარტებით, პროკურორის მხრიდან ჰქონდა ადგილი.

ადვოკატს მკაფიოდ და გარკვევით უნდა განემარტა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის მისი უფლებების შესახებ, მიუხედავად იმისა, თუ როგორი განმარტება ან მოსაზრება გამოხატა ბრალდების მხარემ.

ადვოკატ რ. ს.-ის მხრიდან ამოცნობის ოქმზე ხელმოწერა (რომელსაც ცალკე აღებული, თავისთავად, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს), თავად ადვოკატ რ. ს.-ის ახსნა-განმარტებით, გამოწვეული იყო პროკურორის მიერ ადვოკატ რ. ს.-ისადმი მკაცრი ტონით ნათქვამი შეკითხვით აწერდა თუ არა ადვოკატი ოქმს ხელს. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის პოზიცია იყო მოკრძალებული და არაეფექტური, იგი გარკვეულწილად მოქცეული იყო პროკურორის გავლენის ქვეშ. რ. მ.-ს თანხმობაც ადვოკატისადმი - მოეწერა ოქმზე ხელი - იმით იყო გამოწვეული, რომ ადვოკატს პრობლემები არ შექმნოდა.

განხილვის კოლეგია არ იზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი რ. ს. "მიზანმიმართულად ჩაერთო აღნიშნულ საქმეში და შეგნებულად დატოვა დაცვის გარეშე ბრალდებულები რ. მ. და ს. ბ.".

განხილვის კოლეგიის აზრით, მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის ქმედებებში სახეზეა არა იმდენად დისციპლინური გადაცდომა, რამდენადაც სახეზეა ადვოკატის მიერ მისი პროფესიული მოვალეობების სუსტი შესრულება. ამის მიზეზი კი, განხილვის კოლეგიის აზრით, ერთის მხრივ, შესაძლოა იყოს ადვოკატ რ. ს.-ის არასაკმარისი პროფესიული მომზადება და, მეორეს მხრივ, ის გარემოება, რომ საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება ადვოკატურის დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად.

ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, "ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გარეშე გავლენისაგან ან სხვა ზეწოლისაგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს".

ადვოკატ რ. ს.-ის ზემოაღწერილ ქმედებაში შეინიშნება დამოუკიდებლობის პრინციპიდან გადახრა.

7. დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

7.1 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ რ. ს.-ს, 6.5 და 6.6 პუნქტებში ასახული დისციპლინური გადაცდომის შედეგად, პასუხისმგებლობის ზომად უნდა განესაზღვროს ადვოკატისადმი კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

7.2 სარეკომენდაციო ბარათით ადვოკატ რ. ს.-ს უნდა მიეცეს რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ მან არ განახორციელოს დაცვა მაშინ, თუკი კლიენტი მის მიერ დაცვის განხორციელების წინააღმდეგია.

7.3 გარდა ამისა, ადვოკატ რ. ს.-ს უნდა მიეცეს რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ აიმაღლოს პროფესიული მომზადების დონე, იმოქმედოს მხოლოდ დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე და პროცესის მიმდინარეობის დროს არ მოექცეს პროცესის მწარმოებელი ორგანოს ზემოქმედების ქვეშ.

სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-10-22-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ადვოკატ რ. ს.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათის მიცემა.
2. დამტკიცდეს კერძო სარეკომენდაციო ბარათის თანდართული ტექსტი.
3. ეს გადაწყვეტილება გაეგზავნოს ადვოკატ რ. ს.-ს მიღებიდან 5 დღის ვადაში.
4. ადვოკატ რ. ს.-ს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე - ცირა შუბითიძე

წევრი - გიგა კვერენჩხილაძე

წევრი - არჩილ კბილაშვილი